ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის რიგგარეშე სხდომაზე

განხილულ საკითხთა ნუსხა

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 დეკემბრის N114-11422360184 მომართვა -,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ნოემბრის N114-11422325190 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ";

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ნოემბრის N114-1142233477 მომართვა - „ქალაქ ქობულეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N16

ქ.ქობულეთი 28 დეკემბერი 2022
წელი

სხდომა დაიწყო: 12-00 საათზე

დამთავრდა: 13-00 საათზე

სხდომას უძღვებოდა: ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ნათია თხილაიშვილი, გურამ აბაშიძე, ჯემალ ბლადაძე, დავით წულუკიძე, თედო ტაკიძე, ლაშა ხახუტაიშვილი, ლია შაქარიშვილი, თეა მოწყობილი, დავით პაპუნაიშვილი, იოსებ ჟღენტი, ზურაბ ხინიკაძე, ნატო შამილიშვილი, ზაზა თხილაიშვილი, გიზო ხალვაში, გელა შაქარიშვილი, მირზა მახარაძე, ირაკლი ქათამაძე, ავთანდილ გოგიბერიძე, ეკატერინე კოჭლამაზაშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა: გიორგი გოგიტიძე, მამია ჟორდანია, ალექსანდრე ხიდაშელი, ედნარ თურმანიძე, არჩილ ჯაფარიძე, ლაშა კომახიძე, ილონა ანანიძე, სოლომონ ბაჯელიძე, გიორგი კარალიძე, ჯეირან წულუკიძე, ირაკლი ტაკიძე, ედუარდ ქავჯარაძე, იამზე ცალქალამანიძე, მერაბ ცინცაბაძე, ლევან მახარაძე, ია მესხიძე, შოთა გოგიტიძე, დავით ოქროპირიძე, სოსო ქიზინიძე.

ესწრებოდნენ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - დავით ვერულიძე;

აჭარის - TV საზოგადოებრივი მაუწყებელი;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს I სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) - მამუკა ქათამაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის II რანგის უფროსი საორგანიზაციო და საქმისწარმოების საკითხებში - დავით ჯინჭარაძე;

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის სხდომის ოქმის შედგენა დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის II სტრუქტურული ერთეულის III რანგის II კატეგორიის უფროს სპეციალისტს საქმისწარმოების საკითხებში მანონი ვერულიძეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, შემდეგ გააცნო დეპუტატებს წარმოდგენილი დღის წესრიგი და დასვა შეკითხვა აქვთ, თუ არა შენიშვნები ან წინადადებები წარმოდგენილ დღის წესრიგთან დაკავშირებით. შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა, საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 დეკემბრის N114-11422360184 მომართვა- ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით ვერულიძე)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ნოემბრის N114-11422325190 მომართვა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ";

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ნოემბრის N114-1142233477 მომართვა - „ქალაქ ქობულეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

(მომხსენებელი:ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილი)

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 წევრი.

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 დეკემბრის N114-11422360184 მომართვა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ დავით ვერულიძემ, რომელმაც განმარტა, რომ წარმოდგენილი საბიუჯეტო ცვლილება არ იწვევს შემოსულობების ნაწილში არსებული პარამეტრების ცვლილებას. საბიუჯეტი ცვლილებით, გადასახდელების ნაწილში დაიგეგმა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში, ამავე დროს მუნიციპალიტეტს დაქვემდებარებული ყველა მხარჯავი დაწესებულებებში 2022 წლის წლიური ასიგნებების ცვლილებები, რაც განპირობებულია დასაქმებული თითოეული თანმშრომლებისათვის წახალისების მიზნით სახელფასო განაკვეთის 50% ის ოდენობით ფულადი ჯილდოს/პრემიის გაცემის საჭიროებით რაც ფულად მაჩვენებელში შეადგენს 555 625 ლარს (თანახმად დანართისა) და საბიუჯეტო ცვლილება არ იწვევს წლიური 2022 წლის ბიუჯეტის ასიგნების 52 717 600 ლარის ზრდას. ცვლილება განხორციელდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში არსებული ცალკეული ეკონომიის საფუძველზე.

დავით მჭედლიშვილის თქმით ვაფასებთ თითოეული თანამშრომლის შრომას და მისასალმებელია აღნიშნული წინადადება. აღნიშნულ საკითხს ერთხმად მხარი დაუჭირეს საკრებულოს წევრებმა.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ სხვა შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა - ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის N09 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 წევრი.

მიღებულია დადგენილება - N33

(დადგენილება თან ერთვის)

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 21 ნოემბრის N114-11422325190 მომართვა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ" - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა რომელმაც განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფის მიერ დაკორექტირდა ქობულეთის სივრცითი მოწყობის გეგმა, რომელიც შესაბამისობაში მოვიდა საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან. მომხსენებელმა ელექტრონულად წარმოადგინა სივრცითი მოწყობის რუკა და დეტალურად ისაუბრა სივრცით კატეგორიებზე, დასახლებებზე, ურბანულ პირობებზე, სტიქიურ ადგილებზე, გეოლოგიურ ადგილებზე, სამრეწველო ზონების განვითარებაზე და ა. შ.

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა ,,ქობულეთის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის დამტკიცების შესახებ" საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

მიღებულია დადგენილება - N34

(დადგენილება თან ერთვის)

3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 30 ნოემბრის N114-1142233477 მომართვა - „ქალაქ ქობულეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე - მოხსენება გააკეთა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ ნათია ბასიაშვილმა, რომელმაც განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სივრცითი მოწყობის სამუშაო ჯგუფმა შეისწავლა და განიხილა ქალაქ ქობულეთის მერის 14 ივლისის N114-11422195198 და 29 ივლისის N114-11422210137 წერილებით დასმული საკითები, რომლებიც ეხებოდა ქალაქის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, დამატებითი საზოგადოებრივი საპარკინგე ადგილების მოწყობასა და სოციალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის შესაძლებლობისათვის ქალაქ ქობულეთის გენერალურ გეგმისა და განაშენიანების გეგმების ნაწილში ფუნქციური ზონირების კორექტირებას. სივრცითი მოწყობის

სამუშაო ჯგუფს წარმოდგენილი საკითხის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნია ახალი საზოგადოებრივი ავტოსადგომების ლოკაციების გაჩენა, რომელიც გააუმჯობესებს ქალაქის ტრანსპორტის რეგულირების სქემას. ასევე შესაძლებლად მიიჩნევა ქალაქ ქობულეთში პოპოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული საწარმო ზონის (იზ-1) ნაწილის ჩანაცვლება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონის (სზ-4) ფუნქციით, რომლითაც შესაძლებლად დაიშვება სოციალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და ამავე კვარტალში მოქცეული არსებული ინდივიდუალური დასახლების განვითარება. განსახილველი კვარტალი უზრუნველყოფილია სატრანსპორტო მისაწვდომობით. მწვანე ზოლით გაიმიჯნა მიმდებარდ გამავალი რკინიგზის ხაზი. მომზადდა ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის კორექტირებული დოკუმენტაცია, რომელიც ითვალისწინებს ახალი საზოგადოებრივი ავტოსადგომებისათვის გამოყოფილი ტერიტორიებისა და საწარმო ზონის ნაწილის ფუნქციური ცვლილებების ასახვას აღნიშნულ ქალაქმშენებლობით დოკუმენტებში, კერძოდ: 1. ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმის საიჟინრო ნაწილში გაჩნდა შესაბამისი ტექსტური განმარტება. სატრანსპორტო ქსელი, ტრანზიტული მოძრაობისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის სქემაზე და ფუნქციური ზონირების რუქაზე დატანილ იქნა შესაბამისი საზოგადოებრივი ავტოსადგომების ადგილები. ქალაქ ქობულეთის განაშენიანების გეგმის ტექსტურ ნაწილში გაჩნდა შესაბამისი განმარტება და ფუნქციური ქვეზონების რუქაზე დატანილ იქნა შესაბამისი საზოგადოებრივი ავტოსადგომების ადგილები. საზოგადოებრივი პარკირებისათვის გამოყოფილი ტერიტორიებია: ს/კ 20.42.01.530 -4680 $მ^2$ მიწის ნაკვეთი სრულად ს/კ 20.42.08.012 -6077 $მ^2$ მიწის ნაკვეთის 1100 $მ^2$ ს/კ 20.42.01.568 -4699 $მ^2$ მიწის ნაკვეთის სრულად ს/კ 20.42.01.609 -28648 $მ^2$ მიწის ნაკვეთის 2000 $მ^2$ ს/კ 20.42.01.601 -8207 $მ^2$ მიწის ნაკვეთის 400 $მ^2$ 2. ქალაქ ქობულეთის გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის ფუნქციური ზონირებისა და ქვეზონირების რუქებში ცვლილებები შევიდა ქალაქ ქობულეთის რკინიგზის სადგურის მიმდებარედ არსებული საწარმო ზონის (იზ-1) კონტურში. მითითებული ზონის ნაწილი ჩანაცვლდა მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონად (სზ-4).

აღნიშნული საკითხის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით მჭედლიშვილმა კენჭისყრაზე დააყენა „ქალაქ ქობულეთის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 წევრი.

მიღებულია დადგენილება - N35

(დადგენილება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო საკრებულოს თავმჯდომარემ სხდომა გამოაცხადა დამთავრებულად.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი